

„აფხაზეთში „ახალი პასპორტები“ 70 000 მქალაქემ მიიღო“

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრემიერმა ასტამურ ქეცბამ დე-ფაქტო შსს-ს საპასპორტო სამმართველოში თათბირი ჩაატარა.

თათბირზე, დე-ფაქტო შსს-ს საპასპორტო სამმართველოს უფროსმა ედუარდ მანარგიამ ე.წ. ვიცე-პრემიერს „ახალი პასპორტების“ გაცემის პროცესის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა.

ედუარდ მანარგიას თქმით, ე.წ. ახალი პასპორტები 70 000 ათასზე მეტმა მოქალაქემ მიიღო და დაამატა, რომ სავარაუდოდ, აღნიშნული ე.წ. დოკუმენტის გაცემა 2018 წლის ბოლომდე ვერ მოხერხდება, რადგანაც ოკუპირებული აფხაზეთის ზოგიერთ რაიონში აღინიშნება ე.წ. ძველი პასპორტების ახლით შეცვლის მსურველთა განცხადებების რაოდენობის კლება.

19.08.2018 იხ.რუსულენოვან ვებგვერდზე <https://km-ra.org/index.php/ru/news/item/1201-proinspektirovana-rabota-pasportnogo-upravleniya>

„გალისა და ოჩამჩირის რაიონებში რეპატრიანტების ჩასახლება იგეგმება“

ოკუპირებულ ოჩამჩირეში, რეპატრიანტების განთავსების შესაძლებლობაზე იმსჯელებს დე-ფაქტო რეპატრიაციის მინისტრმა ბესლან დბარმა და ოკუპირებული ოჩამჩირის რაიონის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ხრიპს ჯოპუამ.

ბესლან დბარის თქმით, ბოლო პერიოდში საკმაოდ გაიზარდა ოკუპირებულ აფხაზეთში დაბრუნებისა და მუდმივად დასახლების მსურველების რაოდენობა და დაამატა, რომ რეპატრიაცია ერთ-ერთი საუკეთესო გამოსავალია დემოგრაფიული პრობლემის გადასაჭრელად.

თავის მხრივ, რეპატრიანტების განსახლების თემაზე საუბრისას, ხრიპს ჯოპუამ დამსწრე საზოგადოებას მოახსენა, რომ ოკუპირებული ოჩამჩირის რაიონში 14 დაცარიელებული სოფელია, სადაც ადრე ქართველები ცხოვრობდნენ. ოკუპირებული ქალაქის მე-6 რაიონში, 2 კორპუსია, ერთ-ერთ მათგანში 20-მდე ოჯახის, ხოლო მეორეში - 78 - ის ჩასახლებაა შესაძლებელი-განმარტა ოკუპირებული ოჩამჩირის რაიონის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა.

ბესლან დბარის ინფორმაციით, დღესდღეობით, ოკუპირებულ აფხაზეთში 5 ათასამდე რეპატრიანტი ცხოვრობს. 200 - ზე მეტი ბავშვი ამ ოჯახებიდან აფხაზურ სკოლებში სწავლობს. მისივე ცნობით, სირიის არაბული რესპუბლიკის მიერ ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. აღიარების შემდეგ, სირიიდან კიდევ ორი ოჯახი ჩამოვიდა საცხოვრებლად.

მანამდე მსგავსი შეხვედრები ოკუპირებული გალის რაიონშიც გაიმართა, სადაც სირიის რეპატრიანტების განსახლების შესაძლებლობები განიხილეს.

თურქეთსა და სირიაში მცხოვრები რეპატრიანტების ოკუპირებული გალისა და ოჩამჩირის რაიონში ჩასახლების კონკრეტული თარიღები ჯერჯერობით არ დასახელებულა.

21.06.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://www.apsnypress.info/news/v-ochamchyre-obsudili-vozmozhnost-rasseleniya-repatriantov/>

„აფხაზეთის საგარეო უწყება ჟენევის დისკუსიების 44-ე რაუნდს ეხმაურება“

2018 წლის 19-20 ივნისს, ჟენევაში „სამხრეთ კავკასიაში უსაფრთხოების თაობაზე საერთაშორისო დისკუსიების“ მოლაპარაკებების მორიგი 44-ე რაუნდი შედგა, რომელშიც, ეუთოს, გაეროს და

ევროკავშირის თანათავმჯდომარეობით, მონაწილეობას ღებულობდნენ საქართველოს, ოკუპირებული აფხაზეთის და ცხინვალის რეგიონის, რუსეთისა და ამერიკის დელეგაციები.

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. დელეგაციას დაურ კოვე ხელმძღვანელობდა.

ჯენევის დისკუსიების მორიგი რაუნდის შედეგების თაობაზე, ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტროს ე.წ. პრეს სამსახური განცხადებას ავრცელებს, რომელშიც ვკითხულობთ, „ქართული მხარე მთელი რაუნდის განმავლობაში კვლავინდებურად ლობირებდა უაზრო თეზისს „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რუსული ოკუპაციის შესახებ“ და ცდილობდა, პოლიტიზირებულ ჭრილში წარმოეჩინა საქართველოს მოქალაქეების – არჩილ ტატუნაშვილის, გიგა ოთხოზორიასა და დავით ბაშურულის გარდაცვალებასთან დაკავშირებული ტრაგიკული ინციდენტები. ამ თემაზე პოლემიკა განსაკუთრებით ემოციური იყო. საერთაშორისო დისკუსიების ყველა მონაწილე, ქართული მხარის წარმომადგენლების გარდა, შეთანხმდა იმაზე, რომ სიტუაცია საზღვრისპირა ზონაში “სტაბილურად და კონტროლირებადად” რჩება და რომ საქართველოსთან აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო საზღვრების დარღვევის სტატისტიკა თავისუფალი გადაადგილების კუთხით პრობლემების არარსებობაზე მიუთითებს“.

ჟენევაში შემდეგი შეხვედრა 2018 წლის ოქტომბერშია დაგეგმილი.

21.06.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <http://mfaapsny.org/ru/allnews/news/geneva-discussions/19-20-iyunya-v-zheneve-sostoyalsya-ocherednoy-raund-mezhdunarodnykh-diskussiy-po-zakavkazyu-v-kotory/>

„გაგრის ადმინისტრაციაში ვიცე-პრემიერმა თათბირი ჩაატარა“

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. ვიცე-პრემიერმა ასტამურ ქეცბამ ქ.გაგრის ე.წ. ადმინისტრაციაში, ე.წ. ახალი პასპორტების გაცემის პროცესის თემაზე, თათბირი ჩაატარა.

ე.წ. თათბირზე, ოკუპირებული აფხაზეთის დე-ფაქტო შსს-ს საპასპორტო სამმართველოს ე.წ. უფროსმა ედუარდ მანარგიამ ოკუპირებული გაგრის რაიონში ე.წ. ახალი პასპორტების გაცემის სტატისტიკური მონაცემები გაახმოვანა.

ედუარდ მანარგიას თქმით, დღევანდელი დღისთვის, ოკუპირებულ გაგრის რაიონში გაცემულია 6 116 ე.წ. ახალი პასპორტი. აქედან, ოკუპირებულ ცანდრიფში-3 246, ხოლო, ბიჭვინთასა და ბზიფში-4 857.

22.06.2018 იხ.რუსულენოვან ვებგვერდზე <https://km-ra.org/index.php/ru/news/item/1211-pasportizatsiyu-v-gagrskom-rajone-obsudili-s-vitse-premerom>

„ვლადიმერ პუტინმა აფხაზეთთან თანამშრომლობის სამმართველოს ხელმძღვანელი დანიშნა“

რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტმა, 2018 წლის 22 ივნისს, თავის ადმინისტრაციაში გადაადგილებები განახორციელა.

ვლადიმერ პუტინის ბრძანებულებაში ვკითხულობთ, რომ რუსეთის პრეზიდენტის, დსთ-ს ქვეყნებთან, ოკუპირებულ აფხაზეთთან და ოკუპირებულ ცხინვალის რეგიონთან, სოციალურ-ეკონომიკური თანამშრომლობის სამმართველოს ხელმძღვანელად ოლეგ გოვორუნი დანიშნა.

აქამდე, ოლეგ გოვორუნი, რუსეთის ფედერაციის რეგიონალური განვითარების მინისტრის პოსტს იკავებდა.

22.06.2018 იხ.რუსულენოვან ვებგვერდზე <https://ria.ru/politics/20180622/1523212444.html>

„აფხაზეთის ტურიზმის კავშირის პრეზიდენტის ინტერვიუ“

ოკუპირებულ აფხაზეთის „ტურიზმის კავშირის“ ე.წ. პრეზიდენტმა ანა კალიაგინამ ე.წ. საკურორტო სეზონზე ისაუბრა.

მისი თქმით, მსოფლიო საფეხბურთო ჩემპიონატის გულშემატკივრების უმეტესობამ მხოლოდ სოჭში გაიგეს ოკუპირებული აფხაზეთის არსებობის შესახებ და ამიტომ მათ არ გააჩნიათ „მულტივიზა“, რომლითაც შეძლებდნენ რუსეთის ფედერაციიდან რამდენჯერმე გასვლას და შესვლას.

24.06.2018 იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე <https://sputnik-abkhazia.ru/tourism/20180624/1024297027/kalyagina-o-tom-pochemu-inostrannyx-bolelshnikov-malo-v-abxazii.html>

„თემურ ნადარაიას ინტერვიუ“

ოკუპირებული გალის რაიონის დე ფაქტო ადმინისტრაციის ხელმძღვანელის, თემურ ნადარაიას მითითებით, საბავშვო და ახალგაზრდული პროექტები, რომელსაც საერთაშორისო თუ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები ახორციელებენ, ე.წ. ადმინისტრაციასთან უნდა შეთანხმდეს.

ამ თემაზე თათბირი ნადარაიამ ოკუპირებული გალის რაიონის სკოლების დირექტორებთან უკვე ჩაატარა და პროექტების შეთანხმების მიზნები ოკუპირებული ტყვარჩელის ერთ-ერთ სკოლაში გამართულ კონცერტზე გალის ერთ-ერთი სკოლის მოსწავლეების წაყვანა გახდა. მაშინ კონცერტზე ნადარაიას განმარტებით, მეგრული სიმღერა შეასრულეს ბავშვებმა, რასაც სკანდალი მოყვა.

ოკუპირებული გალის რაიონის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელის განცხადებით, მან ერთი პროექტი უკვე აკრძალა.

20.06.2018 ვრცლად იხ.რუსულენოვან ვებგვერდზე <http://abkhazinform.com/item/7490-glava-administratsii-galskogo-rajona-trebuetsoglasovvat-s-nim-proekty-realizuemye-npo>

„აფხაზეთის საგარეო უწყება ტატუნაშვილი-ოთხოზორიას სიას ეხმაურება“

ოკუპირებული აფხაზეთის ე.წ. საგარეო უწყება ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში 33 ადამიანის შეყვანასთან დაკავშირებით საქართველოს პრემიერ-მინისტრის, მამუკა ბახტაძის განცხადებას ეხმაურება.

ე.წ. საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს მთავრობის, კერძოდ, პირადად პრემიერ-მინისტრის, მამუკა ბახტაძის მოქმედებას უკიდურესად დესტრუქციულს, პროვოკაციულ და ჟენევის საერთაშორისო დისკუსიების მუშაობისთვის ხელის შემშლელს უწოდებს.

აღნიშნული თემა, ე.წ. საგარეო უწყების თქმით, აფხაზური მხარის მიერ შეტანილი იქნება გალში 27 ივნისის ინციდენტების პრევენციისა და მათზე რეაგირების მექანიზმის (IPRM) შეხვედრაზე.

ამასთან, აფხაზური მხარე სამხრეთ კავკასიაში კონფლიქტების დარეგულირების ერთადერთი საერთაშორისო ფორმატის შესაძლო განადგურებაზე მთელ პასუხისმგებლობას აკისრებს საქართველოს პრემიერ-მინისტრს, მამუკა ბახტაძეს.

ინფორმაციისთვის, 21 მარტს საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია, რომლის მიხედვითაც არის მომზადებული მთავრობის დადგენილების პროექტი და განსაზღვრულია ოთხოზორია-ტატუნაშვილის სია.

26.06.2018 ვრცლად იხ. რუსულენოვან ვებგვერდზე http://mfaapsny.org/ru/allnews/news/statements_speeches/kommentariy-mid-respubliki-abkhaziya16/